# კოსმონავტების ოჯახში



კოსმონავტის ოჯახში მხოლოდ რეკორდსმენები არიან! პაველ პოპოვიჩის სახელი დღეს სამყაროს ყველა კუთხეშია ცნობილი. კოსმონავტის მეუღლე — მარინე პოპოვიჩი კი სპორტულ წრეებში სულ ცოტა ხნის წინ გახდა პოპულარული. ეს მოხდა მაშინ, როდესაც „ლ—29“ ტიპის თვითმფრინავზე მარინემ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ზედა სურათზე თქვენ ხედავთ საავიაციო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელს, რომელიც რეკორდსმენის ნიშანს გადასცემს მ. პოპოვიჩს.

ქვედა ფოტოზე აღბეჭდილია „ციური ძმების“ — ა. ნიკოლაევის, პ. პოპოვიჩისა და ი. გაგარინის წვრთნა კალათბურთში.



## დღეს ნომერში

✦ მწვრთნელი ოპტიმისტურადაა განწყობილი. ✦ „იავაზე“ მსუბუქი... ✦ ფეხბურთელებმა გამოცდა წრიადზე ჩააბარეს. ✦ „ჩემი მეორე სამშობლო — საქართველოა“...


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 143 (2506) ◉ ოთხშაბათი, 22 ივლისი, 1964 წ. ◉ ფასი 8 კაპ.


## ლიდერობენ საქართველოს მოსწავლეები

ტალინი, 21 ივლისი (ფოტოდეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს მოსწავლეთა საკავშირო ზონალური სპარტაკიადა. ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელებმა „მშრალი“ ანგარიშით დაამარცხეს მასპინძლები — 3:0. ბურთები გაიტანეს ო. იობიძემ (2) და ს. ჯამულიძემ. ჩვენმა ფრენბურთელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა ერთნაირი ანგარიშით — 3:0 — დაამარცხეს ესტონელები. მათივე გამარჯვებით დამთავრდა მატჩები ლენინგრადელებთან (გოგონები — 3:1, ვაჟები — 3:0).

ჩვენმა ხელბურთელმა გოგონებმა ფრედ (8:8) დაამთავრეს შეხვედრა ესტონელებთან, ხოლო ჭაბუკებმა გაიმარჯვეს — 22:21. გოგონები ლენინგრადელებთან დამარცხდნენ — 6:11, ჭაბუკები კი ფრეს (13:13) დაჯერდნენ.

ჩოგბურთში საქართველოს გოგონათა გუნდმა დაამარცხა ესტონეთის (3:2) და ლატვიის კოლექტივები (4:0), ჭაბუკებმა ამ გუნდებს შესაბამისად მოუგეს — 3:2 და 5:0.

მაგიდის ჩოგბურთში ესტონელები, როგორც გოგონებმა, ისე ვაჟებმა ერთნაირი ანგარიშით (6:3) დაამარცხეს. ლენინგრადელებს ჭაბუკებმა მოუგეს ანგარიშით 8:1, ხოლო გოგონებმა — 7:2.

ჭადრაკში მასპინძლებთან მატჩი დამთავრდა ფრედ — 4:4, ხოლო წყალბურთში გაიმარჯვეს საქართველოს სპორტსმენებმა — 7:1. ჩვენმა მოშაშეებმა წააგეს ესტონელებთან — 1:3.

თბილისელმა ვ. დოლინსკიმ 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში სპარტაკიადის ჩემპიონობა დაისაკუთრა (2.34,0). ცურვაში ორი დღის შეჯიბრების შემდეგ ჭაბუკები მეორე ადგილზე არიან, გოგონები კი — მესამეზე.

სამი დღის ასპარეზობის შემდეგ საქართველოს მოსწავლეთა კოლექტივი 35 საჯარიმო ქულით I ადგილზეა.

ნ. ფოფხაძე

## უკანასკნელი საათი...

◆ ლენინგრადი, 21 ივლისი. აქ დამთავრდა ლენინგრადისა და ბელგრადის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 8,5:7,5.

◆ ბუენოს-აირესი, 21 ივლისი. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის VIII ტურში პილნიკმა მოუგო რიბინეტს, ნაიდორფმა — ოლივეროს, ფოგელმანმა — კერესს, ფილიპმა — ვექსლერს. ყაიმით დამთავრდა გარსია — პეტროსიანის, როსეტო — შვებერის, ბირნ — გიმარის, ლეტელიე — ელისკაზესის პარტიები. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო. წინა ტურებში დაუმთავრებელი პარტიების განახლებისას პეტროსიანმა მოუგო პილნიკს, გიმარმა — ფოგელმანს, ლეტელიემ — ოლივეროს, ნაიდორფმა — შვებერს. ყაიმით დამთავრდა ბელიცკი — პეტროსიანის, ბირნ — ბოლბოჩანის, ბოლბოჩან — რიბინეტის შეხვედრები.

◆ ხაბაროვსკი, 21 ივლისი. პირველი შეხვედრა იაპონიის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა გუნდმა დღეს აქ გამართა. დებიუტი სტუმრებისათვის წარუმატებელი გამოდგა. მათ წააგეს ანგარიშით 0:2 ადგილობრივ სკა-სთან. იაპონელი ფეხბურთელები სსრ კავშირში კიდევ 3 შეხვედრას ჩაატარებენ — სვერდლოვსკში, ვოლგოგრადსა და კიევში.

◆ მოსკოვი, 21 ივლისი. დღეს ჩამოყალიბდა სსრ კავშირის საწყლოსნო თხილამურების ფედერაცია, რომლის პრეზიდიუმში არჩეულია 11 კაცი. პრეზიდიუმის წევრთა შორის არიან პირველი კოსმონავტი ი. გაგარინი, ლენინური პრემიის ლაურეატი, გამოჩენილი ფიზიკოსი ბ. პონტეკორვო და სხვ. ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეა საბჭოთა კავშირის გმირი, ვიცე-ადმირალი პანტელეევი.

## 2 ტურნირი — 4 ჩემპიონი

იაროსლავლსა და აქტიუბინსკში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

იაროსლავლში ძალებს კლასიკური სტილის მოჭიდავენი ცდიდნენ. ტურნირში მონაწილეობდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. პირველი ადგილი დაიკავეს უკრაინელმა სპორტსმენებმა. საქართველოს მოჭიდავეთა კოლექტივი მისთვის უჩვეულო — VIII ადგილზე გამოვიდა.

ჩვენი რესპუბლიკის ორმა წარმომადგენელმა ჩემპიონატში პირველი ადგილი დაისაკუთრა. გ. ჭელიძემ (პირველი საშუალო წონა) საპატიო ტიტული მეორედ მოიპოვა, თ. სირბილაძემ (მეორე ქვესაშუალო წონა) კი — პირველად. ორივე მოჭიდავემ 5-5 შეხვედრა მოიგო და თითო ფრედ დაამთავრა.

აქტიუბინსკში თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ასპარეზობდნენ. აქ გუნდურ ჩათვლაში რსფსრ-მ გაიმარჯვა. საქართველოს კოლექტივი III ადგილზე გამოვიდა. ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვეს უმჩატეს წონაში მ. შონუსმა (ბათუმი), პირველ საშუალოში — ს. ქარქიშვილმა (გორი). საპრიზო ადგილზე გავიდა აგრეთვე თბილისელი ტ. ლომიაშვილი (მეორე ქვესაშუალო წონა).

## თბილისელებს — ბრინჯაოს მედლები

მოსკოვი, 21 ივლისი (ტელეფონით ჩვენი კორ.). აქ დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის პირველობის გათამაშებამ სალიდერო რბოლაში. შეჯიბრების დღეებში „ნორჩი დინამოელის“ სტადიონის ველოტრეკის ტრიბუნებზე მრავალრიცხოვანი მაყურებელი იყრიდა თავს. როგორც ვიუწყებოდით, ასპარეზობა კარგად დაიწყო თბილისელმა სპორტის ოსტატმა ო. პროკოპენკომ (ლიდერი — სპორტის ოსტატი ი. კავსაძე), რომელმაც წინასწარ შეჯიბრებებში მაღალ შედეგებს მიაღწია.

განსაკუთრებით დაძაბულად წარიმართა ფინალური რბოლები. აქ ყველას აჯობა არმიელმა სპორტსმენმა ნ. კობზევმა (ლიდერი — ლ. სტრელცინი). ამ წყვილმა ტრეკზე ერთსაათიან რბოლაში დაფარა 62,62 კმ და მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს თბილისელებმა ო. პროკოპენკომ და ი. კავსაძემ — 60,8 კმ.

გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგი მოიპოვეს არმიელმა სპორტსმენებმა.

## სოხუმელები ემზადებიან

არც თუ ისე დიდი დრო დარჩა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირამდე, რომელიც 8 სექტემბერს უნდა დაიწყოს სოხუმში. დიდია საზოგადოებრიობის, განსაკუთრებით კი ჩვენი რესპუბლიკის სპორტის ქომაგთა ინტერესი ამ უძლიერესთა ასპარეზობისადმი. ეს იმიტომ, რომ ტურნირმა უნდა გამოავლინოს მსოფლიო ჩემპიონის — ნონა გაფრინდაშვილის მომავალი მეტოქე. სწორედ ამ პრეტენდენტთან ორთაბრძოლაში, რომელიც 1965 წელს გაიმართება, ნ. გაფრინდაშვილს მოუწევს თავისი მაღალი ტიტულის დაცვა.

სოხუმის საზოგადოებრიობა გულდაგულ ემზადება პრეტენდენტთა ღირსეული შეხვედრისთვის, ტურნირის სანიმუშოდ ჩატარებისთვის. თუ როგორ მიმდინარეობს მზადება, ამის შესახებ მოგვითხრო აფხაზეთის საჭადრაკო სექციის თავმჯდომარემ რ. კაკიაშვილმა.

— აფხაზეთის საჭადრაკო ორგანიზაციისათვის დიდი პატივია — გაუწიოს მასპინძლობა მსოფლიოს გამოჩენილ მოჭადრაკე ქალებს. ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ი. ჩამბას თავმჯდომარეობით. კომიტეტს დასახული აქვს ისეთი ღონისძიებები, რაც ტურნირის მონაწილეებს შემოქმედებითი ბრძოლისა და დასვენებისთვის კარგ პირობებს შეუქმნის.

ტურნირი გაიმართება სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში. მაყურებლებისთვის მოეწყობა ყველა პარტიის დემონსტრაცია. აგრეთვე, თეატრის ფოიესა და დარბაზებში ყოველი ტურის დროს გაიმართება ერთდროული თამაშის სეანსები, ლექციები.

ჟურნალისტების უკეთ მომსახურების მიზნით თეატრის ერთ-ერთი ოთახი გამოიყოფა პრეს-ცენტრისთვის, სადაც რამდენიმე საქალაქთაშორისო ტელეფონი იმუშავებს.

ტურნირი კარგად რეკლამირებული იქნება, გამოიცემა პროგრამები, მონაწილეებს გავაცნობთ აფხაზეთის ღირსშესანიშნაობებს, ისტორიულ ძეგლებს და სხვ.

პრესაში ჯერჯერობით გამოქვეყნდა ტურნირის მხოლოდ 16 მონაწილის სია, რომელშიც არიან: რაბიკუ, ზატულოვსკაია, კუშნირი, ბიკოვა, ბორისენკო, ზვორიკინა (საბჭოთა კავშირი), გრესერი, ლეინი (ამერიკის შეერთებული შტატები), ნედელკოვიჩი, ლაზარევიჩი, იოვანოვიჩი (იუგოსლავია), ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), კარაკაში (უნგრეთი), კონარკოვსკა (პოლონეთი), ტეოდორესკუ (რუმინეთი) და ივანოვა (ბულგარეთი). ორი მონაწილის გვარი ჯერ არ არის ცნობილი. ერთი იქნება აზიის ზონიდან, მეორე კი, ალბათ, რუმინელი საერთაშორისო ოსტატი ა. ნიკოლაუ.

ტურნირის დროს სოხუმში ელიან ნონა გაფრინდაშვილს, მიხეილ ტალს, სალო ფლორს და სხვებს.

თ. გიორგაძე
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.

## ი. განზელკასა და მ. ზიკმუნდის მადლობა

20 ივლისს გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციამ ნოვოსიბირსკიდან მიიღო გამოჩენილი ჩეხოსლოვაკი მოგზაურების ი. განზელკასა და მ. ზიკმუნდის დეპეშა. როგორც ცნობილია, ამას წინათ დაუღალავ მოგზაურებს სსრ კავშირის ტურიზმის ცენტრალურმა საბჭომ მიანიჭა „სსრ კავშირის ტურიზმის ოსტატის“ წოდება. აი, რა წერია დეპეშაში:

„ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ციმბირის შორეული მერიდიანებიდან გულითადი სლავური მადლობა გადავცეთ საბჭოთა ქვეყნის სპორტულ თაობას და ტურიზმის ცენტრალურ საბჭოს ძვირფასი ჯილდოებისთვის — საბჭოთა სპორტის სამახსოვრო მედლებისა და პლანეტის ქვეყნებში ავტომოგზაურობის დროს ჩვენი მუშაობის მაღალი შეფასებისთვის. ზიკმუნდ მიროსლავ, განზელკა ირჟი“.


გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე), პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.




# პროგნოზები და სინამდვილე

## „გიგანტთა მატჩის“ წინ

ამას წინათ ლუჟნიკის სტადიონზე ჩატარებული მემორიალი ძმები ს. და გ. ზნამენსკების პრიზებზე ევროპელი მძლეოსნების ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეჯიბრება იყო ოლიმპიურ სეზონში. კონტინენტის 14 ქვეყნის სპორტსმენთა გარდა მოსკოვს ჩამოვიდნენ კუბელი მძლეოსნებიც, რომელთა გამოსვლებმა მეტი სილამაზე და დაძაბულობა შემატა ტურნირს. ე. ფიგეროლამ, რომელიც შესახედავად ძალიან გავს განთქმულ ა. მერჩისონს, 100 მ რბენაში დაამყარა მემორიალის რეკორდი—10,2, ხოლო მ. კობიანმა იოლად მოიგო ქალთა ორივე სპრინტერული დისტანცია.

მოსკოველები ტაშს უკრავდნენ სხვა სტუმრების — ჩეხოსლოვაკელ ლ. დანეკის, პოლონელ ა. ბადენსკის, იტალიელ ლ. ბერუტის, კ. ბალცერის (გდრ) გამოსვლებს. ჩეხოსლოვაკელმა ტ. სალინგერმა შარშანდელ „ტრადიციას“ არ უღალატა და მოსკოვიდან ამჯერადაც წაიღო თავის სამშობლოში ერთ-ერთი მთავარი პრიზი 1.500 მ რბენაში გამარჯვებისთვის.

მაგრამ შეჯიბრებისადმი ინტერესი მარტო საზღვარგარეთელი ვარსკვლავების გამოსვლებით როდი განისაზღვრებოდა. ტურნირის შედეგების მიხედვით უნდა შემდგარიყო საბჭოთა გუნდი, რომელიც მორიგ ტრადიციულ მატჩში 25-26 ივლისს ხვდება ამერიკელებს. ამრიგად, ყოველ სტარტს ჰქონდა ორი ქვეტექსტი: საბჭოთა მორბენლები, მოხტუნავეები, მტყორცნელები ამოწმებდნენ თავიანთ ძალასა და უნარს, თანაც მხედველობიდან არ უშვებდნენ ამერიკელების მიერ წინა დღეებში ნაჩვენებ შედეგებს.

რა გვიჩვენა ლუჟნიკის სტარტებმა „გიგანტთა მატჩამდე“ 20 დღით ადრე? მოვიყვანოთ ამერიკის ჩემპიონატზე (27-28 ივნისი) და ზნამენსკების მემორიალზე მძლეოსანი-სპორტსმენების (4-5 ივლისი) ნაჩვენები შედეგების შედარებითი ცხრილი. სახეობათა შემდეგ პირველად დასახელებულნი არიან ჩვენი ქვეყნის მძლეოსნები, შემდეგ, ამერიკელები:

**რბენა 100 მ** — ბ. ზუბოვი 10,4, ნ. პოლიტიკო 10,5; რ. ჰეიესი 10,3, ჩ. გრინი 10,4. **200 მ** — ბ. ზუბოვი 21,3, ა. ტუიაკოვი 21,6; ჰ. კარი 20,6, პ. დრეიტონი 20,6. **400 მ** — ვ. არხიპჩუკი 47,1, ვ. ბიჩკოვი 47,7; მ. ლარაბი 46, 0, ო. კასელი 46,0. **800 მ** — რ. ტელპი 1.47,8 ა. კრივოშეევი 1.47,9; ჯ. ზიბერტი 1.47,5, ჯ. მიტჩელი 1.47,6. **1.500 მ** — ვ. სავინკოვი 3.42,8, ი. ბელიცკი 3.44,0; ტ. ოჰარა 3.38,1, ჯ. ბერლსონი 3.38,8. **5.000 მ** — კ. ორენტასი 13.45,0, ი. ნიკიტინი 13.50,6; რ. შიული 13.56,2, ჯ. ლინგრენი 13.58,6, **10.000 მ** — ნ. დუტოვი 28.59,6; ლ. ივანოვი 29.00,4; პ. მაკ-არდლი 30.11,0, ჯ. გუტნეკი 30.44,6. **110 მ თარჯრბენი** — ა. მიხაილოვი 13,8, ა. კონტარევი 14,0; ჰ. ჯონსი 13,8, ბ. ლინგრენი 13,9. **400 მ თარჯრბენი** — ვ. ანისიმოვი 50,8, ი. კუკლიჩი 51,3; ვ. ჰარდინი 50,1, ჯ. ლაკი 50,2. **3000 მ წინაღობებით** — ლ. ნაროდიცკი 8.38,2, ე. ოსიპოვი 8.40,4; ჯ. ფიშბეკი 8.43,6, ჯ. იანგი 8,49,4. **ხტომა. სიმაღლე** — რ. შავლაყაძე 210 სმ, ა. ხრამსკი 210; ე. კარაზერსი 216, ჯ. რამბო 216. **სიგრძე** — ლ. ბარკოვსკი 787 სმ. ა. ვაუპშასი 751, რ. ბოსტონი 811, ჩ. მეისი 797. **სამმაგი** — ვ. კრეერი 16,27 მ, ვ. კრავჩენკო 16,17; კ. მუსიადესი 16,18, ა. დევისი 16,14. **ჭოკით** — გ. ბლიზნეცოვი 470 სმ, ი. პეტრენკო 470; ფ. ჰანზენი 518, ჯ. ტორკი 508. **ტყორცნა. ბადრო** — ვ. კომპანეეცი 54,99 მ, კ. ბუხანცევი 54,72; ა. ორტური 61,30, ჯ. სილვესტრი 59,07. **ბირთვი** — ა. ვარანაუსკასი 18,85 მ, ნ. კარასევი 18,63; რ. მატსონი 19,78, დ. ლონგი 19,32. **ურო** — რ. კლიმი 66,58 მ, გ. კონდრაშოვი 66,35; ჰ. კონოლი 69,03, ე. ბერკი 65,80. **შუბი** — ი. ლუსისი 82,35 მ, ვ. კუზნეცოვი 79,51; ფ. კოველი 77,29, ი. სიკორსკი 75,61. **ათჭიდი** — მ. სტოროჟენკო 7.511 ქულა, რ. ბუნი 7,439; პ. ჰერმენი 7.794, დ.. ჯეიზი 7.768.

თუ თვალს გადავავლებთ ცხრილს, დავინახავთ ამერიკელთა სოლიდურ უპირატესობას. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ისინი იოლად გაიმარჯვებენ ლოს-ანჯელოსში? ვფიქრობთ, არა. ეს ციფრები შეიძლება სხვა მხრივაც განვიხილოთ.

პირველი: ზნამენსკების მემორიალზე გამარჯვებულთა შორის ვერ ვხედავთ ჩვენს ბევრ უძლიერეს სპორტსმენს. სხვადასხვა მიზეზის გამო ლუჟნიკში სტარტზე ვერ გამოვიდნენ ვ. ბრუმელი, ი. ტერ-ოვანესიანი, ვ. კუზნეცოვი და სხვ. მაგრამ ამერიკაში ისინი წავიდნენ და ცხადია მათი გამოსვლები მნიშვნელოვან წილად განაპირობებს „გიგანტთა მატჩის“ ბედს.

მეორე: ზოგიერთი საბჭოთა მძლეოსანი (სპრინტერი ე. ოზოლინი, ბირთვის მკვრელი ვ. ლიპსნისი, სტაიერი პ. ბოლოტნიკოვი) „გიგანტთა მატჩზე“ გაცილებით უკეთესად გამოვლენ, ვიდრე ლუჟნიკში, სადაც ისინი ჯერ კიდევ შორს იყვნენ თავიანთი საუკეთესო შედეგებიდან.

და, ბოლოს: ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ, რომ ერთი წლის უკან მოსკოვში გამართული სსრ კავშირი—აშშ-ის მატჩის წინ ანალოგიური პარალელებით გატაცებული სპეციალისტები აშშ-ის ვაჟთა გუნდს დიდი უპირატესობით გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, სინამდვილეში კი ... 4 ქულით გამოირჩა.

ამასთან სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებშიც მოხდა ცვლილებანი. მემორიალზე გამარჯვებული რ. შავლაყაძის ადგილი დაიკავა ვ. ბრუმელმა, ათჭიდელებს სათავეში ჩაუდგა ევროპის ჩემპიონი ვ. კუზნეცოვი და სხვ. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საერთო გუნდურ ჩათვლაში ქულებს იძლევა როგორც ქალთა, ისე ვაჟთა მაჩვენებლები. ეს კი დიდ უპირატესობას აძლევს ჩვენი ქვეყნის ნაკრებს.

ისღა დაგვრჩენია დავუმატოთ, რომ საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი გ. კორობკოვი ოპტიმისტურადაა განწყობილი. ვნახოთ, რას მოგვიტანს დარჩენილი სამი დღე. ყოველ შემთხვევაში, „გიგანტთა მატჩი“ ძალთა უკანასკნელი შემოწმება იქნება ტოკიოს სტარტების წინ.

**ბ. თასიჯიანი,**
**ა. ხრენნიცკი,**
ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები.

# კაჟდებიან, იწრთობიან

ქალაქად დარჩენილი ბავშვებისთვის ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში გახსნილია საქალაქო პიონერული ბანაკი. ნორჩებისთვის აქ ხშირად ტარდება სპორტული შეჯიბრებები და სხვადასხვა თამაშები. ბავშვები მეცადინეობენ შაშის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთის, ბადმინტონისა და ფეხბურთის სექციებში. მათთვის ყოველ დილით ტარდება გამაჯანსაღებელი ვარჯიში. ამ დღეებში პარკის დირექციის ინიციატივით მოეწყო ექსკურსია ბათუმის პიონერთა პარკში. ბათუმელმა და ქუთაისელმა პიონერებმა გამართეს შეხვედრა ფეხბურთში, რომელიც სტუმრების გამარჯვებით (2:1) დამთავრდა. ქუთაისელმა მოსწავლეებმა სტუმართმოყვარე მასპინძლები თავიანთ ქალაქში მიიპატიჟეს.

ქუთაისელი პიონერები ზაფხულს უქმად არ ატარებენ — კაჟდებიან, იწრთობიან...

**ი. კოკუაშვილი**

ქუთაისი.

## [illegible]

● **დამთავრდა** „განთიადის“ საქალაქო პირველობა ფრენბურთში, რომელშიც თბილისის ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა დაწესებულებათა 62 გუნდი მონაწილეობდა.

ქალთა I ჯგუფში გამარჯვება წილად ხვდა სპორტკლუბ „განთიადის“ კოლექტივს, II ჯგუფში კი „ისანის“ გუნდს. ვაჟთა I ჯგუფშიც პირველობა არავის დაუთმო „განთიადის“ კოლექტივმა, ხოლო II ჯგუფში გაიმარჯვეს საკონდიტრო კომბინატის ფრენბურთელებმა.

**ი. ხაჭიძვილი**

● **ორ დღეს** გრძელდებოდა კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის სისტემაში შემავალი წარმოება-დაწესებულებების თბილისის საქალაქო სპარტაკიადა. მის პროგრამაში იყო სპორტის სამი სახეობა — ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ტყვიით სროლა. 43 ფიზკულტურის კოლექტივი დაყოფილი იყო ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გაიმარჯვეს საკონდიტრო კომბინატის, ხოლო მეორეში — კონიაკის ქარხნის სპორტსმენებმა. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები.

**ზ. ზოგოლაძე,**
**კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ფიზკულტურის ინსტრუქტორი.**

# მამაზეციერის რეკორდი მოხსნილია!

## ფელეტონი

— გაიკეთე, წმინდანო, კიდობანი... და გაიკეთე იგი ამდაგვარად: სიგრძე კიდობნისა — 300 წყრთა, სიგანე მისი — 50, ხოლო სიმაღლე — 30! — ასეთი განკარგულება მისცა მამაზეციერმა ყოვლად წმინდა ნოეს მსოფლიო წარღვნის ოპერატიულად ჩატარების მიზნით.

ნოემ ხელები გულზე გადაიჯვარედინა:

— იყავნ ნება შენი, არსთა განმრიგე!

— გახსოვდეს, შვილო ჩემო: მსოფლიო წარღვნა, რომელიც 10 თვეს გასტანს, უნდა ჩატარდეს მაღალ ორგანიზაციულ დონეზე. კიდობანში იქნები შენ და ყოველთა არსთა თითო წყვილი!

როგორც წმინდა წერილები გვამცნობენ, ნოეს კიდობნის მოცულობა (ზომის თანამედროვე ერთეულებზე გადაყვანით) შეადგენდა 70 ათას კუბმეტრ ფართობს, ხოლო სამყაროს ცხოველთა სახეობები 1,5 მილიონი იყო (სპილოების, ვეშაპების, დინოზავრების, იხტიოზავრების, ბიზონებისა და სხვათა ჩათვლით). ესე იგი, ყოველ საწყალობელ ცხოველზე 0,023 კუბმეტრი საცხოვრებელი ფართობი მოდიოდა (აბანოს პაწაწინა ჩემოდნის მოცულობაა).

გორის საქალაქო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ლ. ხარატიშვილი, მჯონი, ღმერთი არ არის. მაგრამ 1960 წლამდე მას, როგორც ჩანს, მოსვენებას არ აძლევდა მამაზეციერის ეს ჭეშმარიტად განუმეორებელი რეკორდი. ამ ღირსსახსოვარ წელს კი მან ტელეფონით გამოიძახა გორის სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი და სტადიონის დირექტორი ლ. ლოლაძე.

— აშიერიდან თქვენ იქნებით წმინდანი ნოე!

მეყანწიშვილს კისერი ყანწივით წაუგრძელდა:

— ჩვენ... ვიქნებით, ვიქნებით... საქმეთა განმრიგე!

— ჩვენი ცენტრალური სტადიონი, რომელიც გორის ბამბეული ქსოვილების კომბინატის კუთვნილებაა, მე მომაგონებს ტექნიკური აზრის სასწაულს — ნოეს კიდობანს. მისი შენობა, მართალია, დიდი არ არის, მაგრამ მასში, ზენარის ნებით, თავისუფლად დაეტევა თუნდაც კოსმოსი... ამიტომ გიბრძანებთ, ყოვლად წმინდანნო: შეიკედლეთ ამ შენობაში სხვა წმინდანნიც — „გორვაჭრობის“ ნახევარფაბრიკატების ორი საამქრო! სპორტსმენებმა იხტუნეთ და ითამაშეთ, მზარეულებმა კი ფუნთუშები და ფუნჩულები აცხონ!... სიყვარულითა და სათნოებით!

ამ პრეამბულის მოსმენის შემდეგ ლ. ლოლაძემ თქვა:

— მიუტევე, უფალო, რამეთუ...

შემდეგ წავიდა ამბულა.

ბიბლია არას ამბობს — გაითვალისწინა თუ არა მაღალმა ღმერთმა 10 თვის საკვები 3 მილიონი ცხოველისთვის? როგორც ჩანს, არა. ეს რომ გაეთვალისწინებინა, მაშინ მამაზეციერი მიხვდებოდა, რომ მარტო 2 კატას სულ ცოტა 3.000 თაგვი დასჭირდებოდა.

გორში კი გაითვალისწინეს ეს. „გორვაჭრობამ“ სტადიონ-კიდობანში გადაზიდა: კულინარიის თანამედროვე აღჭურვილობა — ღუმელები, ჩამჩები, ქვაბები, ჭაფქირები, პროდუქტები, მათ შორის რძის ფხვნილიც,—ყველაფერმა ამან დაიკავა 241,5 კვ მეტრი, რაც ზომის ბიბლიურ ერთეულებზე გადაყვანით შეადგენს 483 წყრთას.

ამის შემდეგ, ცხადია, სასწაული არ არის, რომ ხმა დაირხა გორში: სტადიონი-ნოეს კიდობანი ყველაფერს იტევს, ყველას რაღაცა გვერგება.

წამგლეჯები მოდიოდნენ ლეგიონებად, დივიზიებად, კოლონებად. მაგრამ უტიფრობის რეკორდი მაინც გორის კულტურისა და დასვენების პარკის დირექციამ დაამყარა.

სტადიონის დასავლეთ ტრიბუნის გვერდით, სადაც ლიახვი არხეინად მოედინება, პატარა ადგილია. აქ, ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმით უნდა მოწყობილიყო კომპლექსური მოედანი.

— კიდობნის ეს ნაწილი ჩვენია! — დაიძახა გორის კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორმა ი. ვარძელაშვილმა და კომპლექსური მოედნის ადგილზე ბავშვთა გასართობი კომპლექსური ატრაქციონის მშენებლობა წამოიწყო.

უკვე ჩაყრილია საფუძველი, დასავლეთ ტრიბუნის გასწვრივ გაყვანილია გზა, რომელიც ისე მაღალია, რომ სტადიონის ფანჯრებს ფარავს და მზარეულებს ხელს უშლის ლიახვის პანორამით დატკბობაში. გზის მშენებლობისთვის მოზიდულმა ხრეშმა ამოავსო საკანალიზაციო ჭები. წყალი, რომელიც გზას ვერ პოულობს, შედის შენობაში, აფუჭებს პარკეტის იატაკს, ანესტიანებს კედლებსა და სათავსოებს!...

სტადიონი აიტანს?!

რითი სჯობია გორული რეკორდი მამაზეციერის რეკორდს? ბიბლიის თანახმად, ნოეს კიდობანმა, რომელშიც 3 მილიონი „მგზავრი“ იყო, მხოლოდ 10 თვეს იტივტივა. გორის „კიდობანი“ კი უკვე მეხუთე წელია ვერ პოულობს თავის გადასარჩენ კუნძულს...

მ ც ი რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გორის სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი და სტადიონის დირექტორი ლ. ლოლაძე ვერ არიან მთლად წმინდანები. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ მათ თავის დროზე არ ატეხეს განგაში და სტადიონი ნოეს კიდობნად გადააქცევინეს.

**გ. კაკაბაძე**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

გორი.

მოსკოვის ცენტრალურ იპოდრომზე დამთავრდა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა ცხენოსნობაში. დაბრკოლებათა გადალახვაში ნახტომის სიმძლავრეზე ჩემპიონობა მოიპოვა სპორტის ოსტატმა ო. ოვადოვმა („უროჟაი“).

ს უ რ ა თ ზ ე: ო. ოვადოვი ცხენ „ბელოუსზე“ დაბრკოლების გადალახვის დროს.

ფოტო ნ. კულეშოვისა (საკდესი).



● **ლენინგრადი, 20** ივლისი. აქ „იუკის“ მოტოტრასა... გაიმართა საკავშირო პირველობის IV ეტაპი მოტოკროსში 500 კუბ სმ მანქანებისთვის. ... გარბენის ჯამში გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ... კადუშკინმა და ოთხი ეტაპის ჯამში ლიდერი გახდა. ს. კადუშკინს ახლა 20 ქულა აქვს. შემდეგ ადგილებზე არიან დ. კ... კისი (17) და ა. კლიავინში (1...

● **კისლოვოდსკი.** ... კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის საერთაშორისო ტურნირში კვლავინდებურად ლიდერობს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ლ. შტეინი, ... მელმაც გადადებული პარტია დამთავრების დღეს დაამარცხა ლიბერზონი. უნგრელმა კლუ... 2 ქულა ჩაიწერა — მოუგო ... სა და ლიბერზონს, ხოლო ... თან მარცხი განიცადა.

● **ლენინგრადი, 21** ივლისი. (ჩვენი სპეც. კორ.). 5 ... ლიერესი ჭაბუკი, ოსტატობის კანდიდატი იბრძვის საკავშირო საკვალიფიკაციო ტურნირში ოსტატის წოდების მოსაპოვებლად. ისინი „გამოცდას აბარებენ“ ... დიდოსტატ ა. ტოლუშს (ლენინგრადი), ოსტატებს — ა. ... ტიაკოვს (მოსკოვი), ა. ლე... კინს (მოსკოვი), ვ. შჩერბაკ... (ივანოვო) და დ. როვნერს (ლენინგრადი). ოსტატობის კანდიდატები ერთმანეთს არ ეთამაშებიან, ისინი გამომცდელებს სამ-სამჯერ ხვდებიან. ოსტატის ნორმაა 8 ქულა 15 შესაძლებლიდან.

ტურნირში თამაშობს თბილისელი მოსწავლეც, საქართველოს 1964 წლის პირველობის პრიზიორი ა. ბოკუჩავა. პირველ ხუთ პარტიაში მან 3 ქულა მოიგროვა, მეორე ხუთში — 2. ... სანიშნავია, რომ ქართველმა მოჭადრაკემ ორი დამარცხება აგემა გამოცდილ მოსკოველ ოსტატ ა. ჩისტიაკოვს, ა. ტ... ლუშს კი ერთხელ მოუგო (მეორე პარტია ყაიმით დამთავრდა). ახლა ნიჭიერ ჭაბუკს ... ქულა აქვს 11-დან. ოსტატის ნორმის შესასრულებლად დარჩენილი ოთხი შეხვედრიდან მას კიდევ 2,5 ქულის მოგროვება სჭირდება.

ლენინგრადიდან ა. ბოკუჩავა თავის მწვრთნელ ვ. ქარსელაძესთან ერთად კიშინიოვში მიემგზავრება საკავშირო პირველობის ნახევარფინალში მონაწილეობისთვის.

● **იოშკარ-ოლა.** ახალი სპორტული მოტოციკლი შექმნეს უდმურტეთის დედაქალაქის მანქანათმშენებლებმა. მათ ... ლეს პლასტმასის დეტალების გამოყენებით მნიშვნელოვნად შეამცირებინათ მანქანის წონა. ახალი „იჟ“-ი რამდენადმე მოგვაგონებს ბუქია ცნობილ ჩეხოსლოვაკურ „იავაზე“. მასზე უფრო მძლავრი ძრავაა დადგმული, ვიდრე ... რინდელზე.

საბჭოთა სპორტსმენები ახალ მოტოციკლებს გასინჯავენ ... მოდგომაზე მრავალდღიან საერთაშორისო შეჯიბრებისას. ... ხელი სპორტსმენები გ. ჩაშ... პოვი და ბ. მალჩიკოვი, რომლებმაც გამოცადეს მანქანები, ... იმედებს ამყარებენ მასზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სურათი გადაღებულია 1962 წლის ოქტომბერს, თბილისში იაპონელი ტანმოვარჯიშეების სტუმრობის დროს. ამ დროისთვის ამომავალი მზის ქვეყნის ვაჟთა გუნდი უკვე აღიარებული იყო საერთაშორისო ტანვარჯიშის ერთ-ერთ პირველ ფავორიტად და თბილისის სპორტის სასახლის მრავალრიცხოვანი ტრიბუნები დაკვირვებული თვალით სწონიდნენ სტუმრების სპორტულ ოსტატობას. ასევე იქცეოდნენ „უშუალო" მასპინძლებიც — საბჭოთა ტანმოვარჯიშეები, რომლებიც იაპონელებთან ერთად გამოდიოდნენ იარაღებზე. ეს კი ნიშნავდა: ჩვენმა მრავალი წლის „ჩასაფრებულმა" მოსწავლეებმა უკვე მიაღწიეს იმ დონეს, როცა მათგან, შესაძლოა, ზოგი რამ მასწავლებლებმაც ისწავლონ.

მაგრამ, სპორტის სასახლეში მყოფი მაყურებლები ადვილად შეამჩნევდნენ, რომ იაპონელებს, მიუხედავად მათ მიერ საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებებისა, ჯერ კიდევ არ მიუტოვებიათ ბეჯითი მოსწავლეების როლი: ისინი არა მარტო ყურადღების მთელი დაძაბვით ადევნებდნენ თვალს საბჭოთა ტანვარჯიშის გამოჩენილ წარმომადგენელთა გამოსვლებს, არამედ კინო და ფოტოფირებზეც მთლიანად აღბეჭდავდნენ მათ.

თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რა აღტაცება გამოიწვია სტუმრებს შორისაც ჩვენი ვეტერანის — ა. აზარიანის რგოლებზე ვარჯიშმა. გახსოვთ ისიც, თუ რა მქუხარე ოვაციები ახლდა იაპონელი ტანმოვარჯიშეების ლიდერის ი. ენდოს თითქმის ყოველ ვარჯიშს.

აი, სწორედ ამ აღტაცებას უზიარებს ერთმანეთს ამ სურათზეც თანამედროვე ტანვარჯიშის ორი შესანიშნავი წარმომადგენელი ი. ენდო (მარცხნივ) და ა. აზარიანი. მათი გულთბილი, მეგობრული საუბრის მესამე მონაწილეა ქართველი ტანმოვარჯიშე ქალი ჟ. ქაჯაია.

ფოტო ჯ. ჩხოლარიასი.




## როცა ტრიბუნების ვნებათაღელვა მიწყდა...

მძიმე ბრძოლა კიეველებთან

# ძმა ძმისთვისო...

კიევის „დინამო" სამამულო ფეხბურთის ნამდვილი ვეტერანია. იგი მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვან გუნდებს, რომლებმაც 1936 წლის გაზაფხულზე საფუძველი ჩაუყარეს სსრ კავშირის საკლუბო ჩემპიონატების გათამაშებას და დღემდე შემორჩნენ უძლიერესთა ლიგას. ესენია: მოსკოვის „დინამო", მოსკოვის „სპარტაკი", კიევის „დინამო" და ცსკა (ეს უკანასკნელი არ მონაწილეობდა მხოლოდ 1952-53 წლების პირველობებში, ვინაიდან იგი იმ ხანებში დაშალეს).

„ა" კლასს ერთვოდნენ სხვა მონაწილეები, ერთნი მოდიოდნენ, მეორენი ტოვებდნენ მას, კიეველები კი უცვლელად ინარჩუნებდნენ მოპოვებულ პოზიციებს და სახელოვნად იცავდნენ თავიანთი ქალაქის დიდ სპორტულ ტრადიციებს. მათი უნიკალური სტაჟი „ა" კლასში დაგვირგვინებულ იქნა იმით, რომ გუნდმა ერთხელ მიაღწია საფეხბურთო იერარქიის უმაღლეს საფეხურს — სსრ კავშირის ჩემპიონობას და ამას გარდა დაეუფლა თასსაც.

ეს გუნდი უყვართ თბილისში. მის შემადგენლობაში ყოველთვის გამოდიოდნენ ბრწყინვალე ტექნიკის მქონე, ექსტრა-კლასის ფეხბურთელები, რომელთა თამაში უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს.

და, აი ეს პირველხარისხოვანი გუნდი გუშინწინ სრულიად ახალ ამპლუაში წარმოგვიდგა: კიეველებმ უხეშობდნენ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ძველი სპორტული მეტოქე არ დაერიდა უწესობას იმ სტადიონზე, სადაც მას ათეული წლების განმავლობაში უცვლელი სიმპათიითა და ტაშით ხვდებოდნენ (სხვათა შორის, 20 ივლისის მატჩში ყვავილების თაიგული მიართვა შ. იამანიძემ სტუმრების კაპიტანს ვ. კანევსკის).

დაურიდებლად უხეშობდნენ ვ. შჩეგოლკოვი, ვ. სოსნიხინი, ლ. ოსტროვსკი, ვ. სერებრიანიკოვი, ფ. მედვიდი. ბურთის მიღება და დამუშავება თბილისელებს ამ შეხლა-შემოხლაში უჭირდათ, ამან გამოიწვია საპასუხო რეაქციაც და მატჩის მსაჯს ა. ალოვს (ლენინგრადი) საგანგებო რეპრესიების მიღება დაჭირდა, რათა ნორმალური ხასიათი მიეცა თამაშის მსვლელობისთვის.

ეს რომ არა, შეხვედრა კიეველებთან თავისი დაძაბულობით და სანახაობრივი სილამაზით აუცილებლად მოხვდებოდა ე. წ. „დაუვიწყარი მატჩების" კატეგორიაში.

ბრძოლა კი, მართლაც, უაღრესად საინტერესო და მწვავე იყო. თბილისელთა სადებიუტო ჩანაფიქრი სწორი გამოდგა, ტემპი, ტემპი, გრიგალისებური ტემპი! მას უნდა შეერყია სტუმრების დაცვითი ხაზების მთლიანობა, მოეშალა ურთიერთობა ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის, გარკვეული დემორალიზაცია შეეტანა ფორვარდებში.

ამოცანა ძალზე ძნელი იყო. კიევის „დინამოსთან" ასეთი ტაქტიკური მანევრის განხორციელება იოლი არაა, მით უმეტეს, რომ მას თვითონ საუცხოოდ აქვს მოგვარებული სისწრაფის ცვლისა და არიტმიის საკითხები. და მაინც, ამოცანა შესრულდა. თბილისელთა შეტევას ჰქონდა ისეთი აგრესიული, მთლიანი ხასიათი, რომ თავდამსხმელთა გარდა კარში გადამწყვეტი დარტყმის საშუალება მიეცათ ნახევარმცველებსაც. აქ, როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობდა თავს გ. სიჭინავა. მან 4-5 რეიდი შეასრულა მეტოქის საჯარიმო მოედნისკენ და ყოველ მათგანს „გოლის სუნი უდიოდა".

მატჩის კულმინაციური მომენტი, უდავოდ, იყო მე-80 წუთი, როცა მ. ხურცილავასი და სერებრიანიკოვის შეტაკების შედეგად კიეველი წაქცეულ იქნა და მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა თბილისელთა კარში. თამაში მთავრდებოდა, სტუმრები აგებდნენ ანგარიშით 1:2 და ეს იყო, ალბათ, 1 ქულის ხსნის უკანასკნელი შანსი.

პენალტის რეალიზება მიენდო თვით ვ. სერებრიანიკოვს. იგი კარგა ხანს ემზადებოდა დარტყმისთვის, შემდეგ გამოქანდა, დაარტყა და იმავე წამს თავში იტაცა ხელი: ს. კოტრიკაძემ უნაკლო რეაქციით შეასრულა ნახტომი მარცხნივ, მიწვდა ბურთს და მოიგერია იგი.

11-მეტრიანის მოგერიება ასეთ ვითარებაში, მოგეხსენებათ, რა სირთულეს წარმოადგენს. ამიტომ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ჩვენს მეკარეს ახლა უმაღლესი კვალიფიკაცია აქვს ამ „ვიწრო" სპეციალობაში — პენალტების აღებაში.

დაბოლოს, მატჩის ბოლო წუთი. კიეველთა შეტევა 90-ე წუთზე დამთავრდა იმით, რომ კოტრიკაძე წინ გამოსული აღმოჩნდა და კარში მიმავალი ბურთი ზედ ხაზიდან გამოიტანა ხურცილავამ.

ხურცილავას მიერ გაკეთებული პენალტი გადაარჩინა კოტრიკაძემ, ამ უკანასკნელის მოვალეობა კი ბოლო მომენტში შეასრულა ხურცილავამ.

როგორც იტყვიან, ძმა ძმისთვისო...

რ. ჟორიძე

# შემოქმედებითი წინსვლის ლოგიკა

მოსკოვის „დინამო" ყოველთვის იდგა საბჭოთა ფეხბურთის წინა ხაზზე. მართალია, ამ სახელგანთქმული ტრადიციების გუნდს ჰქონდა ცალკეული ჩავარდნები, მაგრამ მეტწილად იგი სამამულო ფეხბურთის პროგრესის ექვივალენტს წარმოადგენდა.

თანამედროვე ფეხბურთმა წაშალა ზღვარი ძლიერსა და სუსტს შორის. დღეს უძლიერესთა ლიგის გუნდების ყოველი შეხვედრა დაძაბული ბრძოლით აღინიშნება და წინასწარ ვერ იტყვი, ვის მხარეს გადაიხრება გამარჯვების სასწორი.

აი, მაგალითისთვის ქუთაისის „ტორპედო" ავიღოთ. „ა" კლასის ახალგაზრდა მონაწილემ უკვე დაიმკვიდრა „ლიდერთა რისხვის" სახელი. მახსოვს ქუთაისელთა შარშანდელი თამაში მოსკოვში „დინამოსთან". ლიდერი მაშინ მტკიცედ და დამაჯერებლად უახლოვდებოდა ოქროს მედლებს და აი, სწორედ ასეთი „ინერციაალებული" გუნდი დაამუხრუჭა „ტორპედომ".

გუშინწინდელი თამაში ქუთაისში მრავალმხრივ იყო საინტერესო. ჯერ ერთი — „ტორპედომ" თავის მინდორზე პირველად იხილა ლეგენდარული იაშინი და არ არის გასაკვირი, რომ ხალხით სავსე ტრიბუნებმა მას გულთბილი შეხვედრა მოუწყო. იაშინმა დაიკავა ადგილი მოედნის ერთ მხარეს, ხოლო მისმა პირდაპირმა მემკვიდრემ დიდ ფეხბურთში — ურუშაძემ — მეორე მხარეს. ასე დაიწყო ორი ბრწყინვალე მეკარის „უსიტყვო" დუელი. ვინ — ვის?

ასეთ კითხვაზე პასუხს ერთი მოთამაშე, ცხადია, ვერ გასცემს. იგი კოლექტიური ამოცანაა, რომელშიც გადამწყვეტ სიტყვას უმეტეს შემთხვევაში მეკარე ამბობს. იაშინი მაინც იაშინია და ჩვენ, ქუთაისელებმა, ეს სულ მალე ვნახეთ. „დინამოს" მეკარემ ავალიანის ბურთი რომ ვერ მოიგერია, ამაში კოლექტივია დამნაშავე. ახალგაზრდა ქუთაისელი დიდოსტატური სვლებით მეკარის პირისპირ გავიდა. აქ კი... თვით იაშინიც უძლური იყო. სხვათა შორის. იაშინს ამჯერად კოლეგებმა მხარი ვერ აუბეს. აბა, რას იფიქრებდა დინამოელთა მეკარე, რომ გოლს საკუთარი მცველიც გაუტანდა?

დიახ, ამ თამაშში ასეთი მომენტიც იყო. გლოტოვმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, მსაჯს ადრე შეუჩერებია თამაში.

ზოგიერთს იქნებ ჰგონია, რომ ქუთაისელები მეტწილად დაცვით იყვნენ გართული. დაცვა გატაცება კი არა, პირველი მნიშვნელობის ამოცანაა (ისიც ისეთ გუნდთან, როგორიც „დინამოა"). მაგრამ, ერთი შეხედვით ტოტალურ დაცვასაც აქვს მკვეთრად გამოხატული შეტევითი ისრები და ქუთაისელებმაც იდეალურად წარმართეს იერიშები ამ „უხილავი" გზებით.

მასპინძლების მოქნილ, ელასტიკურ და მყარ დაცვას წარუმატებლად აწყდებოდა „დინამოს" შეტევის არა მარტო წინა ხაზი, არამედ უკანა ეშელონიც. და სწორედ ამ ეშელონსა და იაშინს შორის დარჩენილ ვაკუუმს მასპინძლები კონტრიერიშებით ავსებდნენ. ეს იყო თამაში, დაფუძნებული სწრაფ გარღვევებსა და ცალკეულ მოთამაშეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობათა სწორად გამოყენებაზე. მასპინძელთა ტაქტიკური იარაღი უფრო ბასრი და საიმედო გამოდგა და შედეგიც სახეზეა. ჩემპიონზე გამარჯვება არ არის შემთხვევითი. იგი ახალგაზრდული კოლექტივის შემოქმედებითი წინსვლის ლოგიკური შედეგია.

ნ. ბოქსაძე

ქუთაისი.

სტუდენტთა თამაშები

# დამატებით 5 წუთში

რეპორტაჟი კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონიდან

სტუდენტთა საკავშირო ზონალური ტურნირის IV ტურის შეხვედრებიდან ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩს წარმოადგენდა თბილისისა და კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტების ქალთა გუნდების ასპარეზობა. ორივე კოლექტივი ამ მატჩზე დაუმარცხებლად წარსდგა. აქედან ცხადია ის პრინციპული და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გადამწყვეტი დავა ამ გუნდებს შორის, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა პირველი ადგილის ბედი.

ინიციატივა დასაწყისში ხელთ იგდეს მასპინძლებმა, მაგრამ სტუმრები არ ფიქრობდნენ პოზიციების დათმობას, უფრო მეტიც, — მათ მკაცრი კონტროლის ქვეშ აიყვანეს თბილისელთა ყველა მოთამაშე და მე-15 წუთზე გაათანაბრეს ანგარიში — 15:15.

მალე კაუნასელები წინ გავიდნენ 2 ქულით. თბილისელები ნერვიულობენ. ისინი ვერ იყენებენ რამდენიმე საჯარიმოს და ვერც საშუალო და შორი მანძილიდან ტყორცნიან ზუსტად, მაშინ, როცა კაუნასელთა ყოველ გასვლას მეტოქის ფარქვეშ მათთვის სასურველი შედეგი მოაქვს. პირველ ნახევარს ჩვენი სპორტსმენები აგებენ ანგარიშით 19:23.

მეორე ნახევარში კვლავ სტუმრები აქტიურობენ და კვლავ შედეგიანადაც. 28-ე წუთზე მათ ანგარიში 8 ქულით მიჰყავთ.

მასპინძლები აშკარა დამარცხების წინაშე დადგნენ. მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ მომენტიდან ისინი იწყებენ თავგამოდებულ ბრძოლას ყოველი ბურთისთვის. გუნდი რაღაც წამებში მთლად გარდაიქმნა. ქართველ სპორტსმენთა რამდენიმე ტყორცნა ზუსტად აღწევს მიზანს და ქულათა სხვაობაც მინიმუმამდე მცირდება (39:40). ინიციატივა სავსებით მასპინძელთა მხარეზეა. აი, ქველიძე სწრაფად შედის მეტოქეთა ფარქვეშ და... არის კიდევ 2 ქულა!

ანგარიში უკვე მასპინძლებს მიჰყავთ — 41:40. ძირითადი დრო იწურება. ტაბლოზე ორი ერთნაირი რიცხვი ანთია: „46", „46".

დაინიშნა დამატებითი 5 წუთი. აი, სწორედ აქ უჩვენეს ქართველმა კალათბურთელებმა გამარჯვების ჟინი და უსაზღვრო სწრაფვა. ჯერ ჯანელიძემ, შემდეგ ჯაფარიძემ, ხოლო ბოლოს ქველიძემ საბოლოო წერტილი დაუსვეს ამ მეტად საინტერესო და დაძაბულ შეხვედრას.

ანგარიშით 52:48 გაიმარჯვეს ქართველმა კალათბურთელებმა.

ბ. ხანდამიშვილი

* * *

ამ დღეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდი შეხვდა ოდესის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივს. ეს მატჩიც, ისევე როგორც წინა სამი თამაში, მასპინძლებმა მოიგეს — 49:45.

დანარჩენ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: ქ ა ლ ე ბ ი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (აზერბაიჯანი) — ტექნოლოგიური ინსტიტუტი (ვორონეჟი) 33:46; ვ ა ჟ ე ბ ი — აზერბაიჯანის ნავთობის ინსტიტუტი — საფეიქრო ინსტიტუტი (ტაშკენტი) 86:68, სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოსკოვი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ჩელიაბინსკი) 61:54.

## ჭაბუკთა საერთაშორისო...

7-დან 19 აგვისტომდე შვეიცარიის საჭადრაკო ფედერაცია ციურიხში ატარებს ჭაბუკ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც მოწვეული არიან ქვეყნის ჩემპიონები. ტურნირში თამაშის თანხმობა განაცხადეს: იაკობსონმა (დანია), ფლეგერმა (გფრ), ლიმ (ინგლისი), ზოიდემანმა (ჰოლანდია), კურაიცამ (იუგოსლავია), ხოლასეკმა (ავსტრია), ტეჰერომ (ესპანეთი), კინმარკმა (შვეცია), იანატამ (ჩეხოსლოვაკია), მარკუშმა, გლაუზერმა და აიხარნმა (სამივენი — შვეიცარიიდან).

სპორტული მიმომხილველები ტურნირის მთავარ ფავორიტად თვლიან გერმანელ ფლეგერს, რომელმაც ამას წინათ საერთაშორისო ტურნირში I—II ადგილები გაიყო დიდოსტატ უნციკერთან. გერმანელი ჭაბუკის მთავარ მეტოქეებად ჟურნალისტები ასახელებენ იუგოსლაველ კურაიცას და ჩეხ იანატას.

## ზონების ლიდერები

ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის კიდევ ორ — IV და VI ზონებში დამთავრდა პირველი წრე. დღეისათვის ზონების ლიდერები არიან: **I ზონა** — სერპუხოვის „ზვეზდა" და ჩერეპოვეცის „მეტალურგი" — 24-24 30-დან; **II ზონა** — პერმის „ზვეზდა" — 25 30-დან; **III ზონა** — „როსტსელმაში" — 18 24-დან, კამენსკ-შახტინსკის „პროგრესი" — 18 28-დან, შახტის „შახტიორი" — 18 30-დან; **IV ზონა** — გროზნოს „თერგი" — 25 34-დან, რუსთავის „მეტალურგი" — 23 32-დან, ბათუმისა და კიროვაბადის „დინამო" — 21-21 34-დან; **V ზონა** — ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელი" — 21 34-დან, მაგნიტოგორსკის „მეტალურგი" — 21 32-დან, **VI ზონა** — ხაბაროვსკის სკა, ანგარსკის „სტარტი" და ომსკის „ირტიში". — 21-21 34-დან.

# ორი ინფორმაცია

ლენინგრადი, 21 ივლისი (ჩვენი სპეც. კორ.). საბჭოთა მოჭადრაკეთა მორიგი გამარჯვება იუგოსლავიის ძლიერ ნაკრებთან საყოველთაო აზრით სავსებით დამსახურებული იყო. მატჩის დამთავრების შემდეგ ჩვენ შევეკითხეთ გუნდების კაპიტნებს — ოსტატ სოკოლოვსა (იუგოსლავია) და დიდოსტატ გელერს.

1. რას იტყვით მატჩის შესახებ?

2. რომელ მონაწილეებს გამოყოფთ?

ოსტატმა სოკოლოვმა გვიპასუხა:

1. მატჩის დაწყებამდევე ვფიქრობდით, რომ გაიმარჯვებდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები. ჯერ ერთი, ისინი სისტემატურად გვიგებენ, მეორე, — ამჯერად ჩვენს გუნდში არ თამაშობდნენ დიდოსტატები გლიგორიჩი და ტრიფუნოვიჩი. გლიგორიჩი მოულოდნელად გახდა ავად და უკანასკნელ მომენტში იგი ჭურაშევიჩით შევცვალეთ. ტრიფუნოვიჩმა გვთხოვა გაგვეთავისუფლებინა გუნდიდან, რადგან იგი საერთაშორისო ტურნირზე მიიწვიეს ჰოლანდიაში. ამ ორი „ბურჯის" გარეშე იუგოსლაველთა ნაკრები საგრძნობლად დასუსტდა, თანაც ამჟამად აშკარად არ არის ფორმაში მატანოვიჩი.

2. იუგოსლავიის გუნდში ვაჟთა შორის ვერავის გამოვყოფ — ყველა უფერულად თამაშობდა. სამაგიეროდ, ჭაბუკებმა და ქალებმა გაგვახარეს. ლაზარევიჩმა ეტლისა და შემდეგ მხედრის შეწირვით ეფექტურად მოუგო ბორისენკოს. მან ღირსეულად ითამაშა გაფრინდაშვილთანაც (ორი ყაიმი). ეტყობა, ლაზარევიჩი და ნედელკოვიჩი პირველი ადგილის პრეტენდენტები იქნებიან მომავალ პაექრობაზე სოხუმში.

დიდოსტატმა გელერმა გვითხრა:

1. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნაკრები სხვადასხვა მიზეზის გამო ძირითადად „ლენინგრადული შემადგენლობით" გამოდიოდა, ტრადიცია არ დაგვირღვევია: გუნდის ყველა წევრი კარგად თამაშობდა და ჩავარდნა არავის ჰქონდა.

2. ჩვენს გუნდში პირველი ადგილი სამართლიანად ეკუთვნის დიდოსტატ მარკ ტაიმანოვს. მას კარგა ხანია არ უთამაშია — საფორტეპიანო კონცერტებით იყო დაკავებული. მიუხედავად ამისა, იგი გამძაფრებით „დაერია" ჩვენს სტუმრებს და მხოლოდ პირველი ხუთი პარტიის მოგების შემდეგ მეექვსეში დაჯერდა ყაიმს. ეს ტაიმანოვისთვის კარგი ვარჯიში [illegible] გამარჯვების წინ. იგი ბოტვინიკთან [illegible] წვეული კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში სათამაშოდ.

იუგოსლაველებს კარგი ჭაბუკები ჰყავთ. მათი ქალთა „ანსამბლი" ანგარიშგასაწევი ძალაა. მაყურებლები განსაკუთრებით კარგად ღებულობდნენ ლაზარევიჩს, რომელიც ახლა საუცხოო ფორმაშია.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ივკოვის მტკიცე თამაში.

გ. ბამრეკელი

## 5. იაროსლავ სვატოშის სამკვიდროში

პრაღის ამწვანებულ გარეუბანში ცხოვრობს შუახანს გადაცილებული კაცი ალექსი სვატოში. შვილი იმ სვატოშისა, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი ქართული საზოგადოებრიობის უანგარო სამსახურს შეალია. აბა, ვინ არ იცნობს ჩვენში იაროსლავ სვატოშს—თბილისის ქალთა გიმნაზიის დირექტორს, ქართული კულტურის თაყვანისმცემელსა და მოამაგეს. მის სახელს ახლაც პატივისცემით იხსენიებენ ჩვენს რესპუბლიკაში. უფრო მეტიც, ქართველი მეცნიერის ვ. ჰკუასელის ახლახან გამოცემული წიგნი, რომელიც ი. სვატოშისადმია მიძღვნილი, იმის ნათელი დადასტურებაა, რომ კეთილი და უანგარო კაცის სახელი დიდ ხანს რჩება მადლიერ ადამიანთა გულებში.

— ამიტომ მოგიწვიეთ ჩემთან, მამის სამკვიდროში, — გვითხრა ალექსი სვატოშმა და გულღიად შეგვიძღვა სასტუმრო ოთახში. მას გაზეთებიდან გაუგია თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელთა პრაღაში ჩამოსვლა და არც ერთი მატჩი არ გაუცდენია. იგი სწორედ სტადიონზე გამოგვეცნაურა და გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე ი. ბერიძე, ხელბურთელები ჯ. ბაგრატიონი, ჯ. აბაიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი თავისთან მიგვიპატიჟა.

— მამაჩემის სახელს წმინდად ინახავენ თქვენს ქვეყანაში. თუმცა უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა — ჩემს ქვეყანაში: მე ხომ თბილისში დავიბადე და 9 წლამდე იქ ვიზრდებოდი, — გვითხრა უკვე სავარძელში მოკალათებულ სტუმრებს და მაგიდაზე მრავალი საინტერესო ისტორიული დოკუმენტი გადაგვიშალა. აქ იყო ე. წ. „ალრესი", მიმართული საქართველოში ტანვარჯიშული მოძრაობის ერთ-ერთი პიონერის — ჩეხ ა. ლუკეშისადმი. ამ მისალმებაში მადლიერი ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები გულთბილად და სიყვარულით ჩამოთვლიან ლუკეშის დამსახურებას, რომელიც მას საქართველოში ტანვარჯიშული სპორტის განვითარებაში მიუძღვის. ალექსი სვატოშს სათუთად შეუნახავს ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილი არიან ა. ლუკეში, გ. ეგნატაშვილი და ქართველი ტანმოვარჯიშეები.

ტკბილ საუბარში ალექსის 82 წლის მოხუცი დედა და მეუღლე შემოგვიერთდნენ. დედაბერს ახლაც კარგად ახსოვს თბილისი, იგონებს ძველ მეგობრებს და ბოლოს ხუმრობით გვეკითხება ეს წარმოშობით ფრანგი, საქართველოს ძველი მკვიდრი და სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მოქალაქე — „თბილისური კევი ხომ არ ჩამოგიტანიათ ახალგაზრდებსო?"...

ალექსის მეუღლემ — ინდრამ ძველი ჩეხური ჟურნალები გვაჩვენა. ინდრა სვატოშოვა თურმე თავის დროზე ხელბურთს თამაშობდა და ეს ჟურნალებიც მის ოსტატობაზე მოგვითხრობდნენ. ხელბურთისთვის მას თავი 1943 წელს დაუნებებია. გარდა ხელბურთისა, იგი ფეხბურთის მოტრფიალეა და, ასე განსაჯეთ, ფეხბურთელ ქალთა გუნდის წევრიც ყოფილა!

თვით ალექსი ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ესტუმრა და ახლა მეორედ დაბადებულად თვლის თავს.

— მე უკვე შევიგრძენი ჩემი მეორე სამშობლო — საქართველოს მადლი და ჩემი წვლილი მინდა შევიტანო საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ აყვავებაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩემს მიერ სათუთად შეგროვილი ყველა დოკუმენტი, რომელთაც სათანადო დამუშავების შემდეგ წიგნად გამოვცემ, — გვეუბნება ალექსი.

ჯ. ინუკიძე

## რ. ფიშერი პრეტენზიას აცხადებს

ამას წინათ სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ განიხილა ცნობილი ამერიკელი მეცენატის ა. ბისნოს წერილი, რომელშიც მტკიცებაა, რომ „ამერიკული კლასიფიკაციის" მიხედვით, დიდოსტატი რ. ფიშერი თავისი მიღწევებით I—II ადგილებს იყოფს მსოფლიო ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან საჭადრაკო სამყაროს იერარქიაში და ყველა დანარჩენ მოჭადრაკეს ჯობნის.

რ. ფიშერი ამბობს, რომ იგი მზადაა ეს დაამტკიცოს მატჩში ნებისმიერ საბჭოთა დიდოსტატთან. ა. ბისნო იძლევა წინადადებას ასეთი ორთაბრძოლა მოეწყოს ნიუ-იორკში ან მოსკოვში პარტნიორებისთვის ხელსაყრელ დროს.

საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა დეტალურად შეისწავლოს რ. ფიშერის წინადადება, თუ შემდგომში ამ მიმართებით იქნება ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო ფედერაციის ოფიციალური გამოწვევა.

## აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი...

▲ **ვარშავა.** პოლონელ მძლეოსანთა ასპარეზობისას შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ე. ჩერნიკმა, რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში აჩვენა 218 სმ. ეს შედეგი წელს მეორეა მსოფლიოში და პოლონეთის ძველ მიღწევას 2 სმ აღემატება.

▲ **ტორკუეი** (ინგლისი). 20 სახელმწიფოს იახტსმენები ჩაებნენ „ფინის" კლასის იახტების „ოქროს თასისთვის" შეჯიბრებაში. ამ ასპარეზობაში, რომელიც 1956 წლიდან იმართება, საბჭოთა სპორტსმენები წელს პირველად იღებენ მონაწილეობას. ესენი არიან რომის ოლიმპიადის პრიზიორი ა. ჩუჩელოვი და ჩვენი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი ვ. მანკინი. საკონტროლო-სავარჯიშო რბოლაში მანკინმა III ადგილი დაიკავა, ჩუჩელოვმა კი — VII.

▲ **ცელინოგრადი.** აქ დამთავრდა ყამირი მიწების ქალთა I სპარტაკიადა, რომელიც 5 დღეს გრძელდებოდა. შეჯიბრებები გაიმართა სპორტის სახლობაში, მასში 350 სპორტსმენი ქალი მონაწილეობდა.

▲ **ბუენოს-აირესი.** საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის VII ტურში რუბინეტიმ დაამარცხა ბელიცკი, ელისკაზესმა — გარსია. კერეს — როსეტოს, ფილიპ — ბირნისა და ვექსლერ — ბოლბოჩანის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

▲ **რომის** ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელმა სიმაღლეზე ხტომაში ი. იუზვიკოვსკაია-ბიედამ პოლონეთის რეკორდი 175 სანტიმეტრამდე აიყვანა. როგორც ჩანს, იგი ტოკიოშიც აპირებს მედლის მოპოვებას.

## ბრაზილიელთა ორი იმედი



ბრაზილიის ბევრი წამყვანი კლუბი უთვალთვალებდა აქამდე ნაკლებად ცნობილ ფეხბურთელ ჰაროლდს, რომელიც თამაშობდა რიო-დე-ჟანეიროს უმნიშვნელო კლუბ „ოლარიოში". დღეისათვის კი იგი ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი გახდა.

„ბოტაფოგოსა" და „ფლამენგოს" უსიამოვნებაც კი მოუვიდათ ერთმანეთთან ჰაროლდის გამო. ისინი ერთმანეთის ჯიბრზე დიდ თანხას თავაზობდნენ „ოლარიოს", მაგრამ მოულოდნელად საქმეში ჩაერია „სანტოსი". მან ჰაროლდში 25 მილიონი კრუზეირო გადაიხადა და, გარდა ამისა, „ოლარიოს" თავისი ორი სათადარიგო მოთამაშეც დაუთმო.

ჰაროლდი 17 წლისაა, 180 სმ სიმაღლისა და იწონის 69 კგ. „სანტოსში" გადასვლისთვის მან მიიღო გასამრჯელო 2 მილიონი კრუზეირო და ყოველთვიურად მიიღებს 130 ათას კრუზეიროს. ეს მხოლოდ 20 ათასი კრუზეიროთი ნაკლებია გარინჩას ჯამაგირზე. „სანტოსის" ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ მან ჰაროლდის სახით ნახა ზიტოს შემცვლელი.

გარდა ამისა, ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ვ. ფეოლამ განაცხადა, რომ „ვასკო და გამაში" გამოჩნდა ცნობილი მცველის ჯ. სანტოსის შემცვლელი. ესაა ახალგაზრდა მოთამაშე ბრიტი.

## ფრანგების გეგმები

საფრანგეთის ფეხბურთელთა მარცხმა უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში და ევროპის თასის თამაშებში, ნაკრების ხელმძღვანელობა აიძულა გარდაექმნა საერთო მზადების გეგმა.

ფრანგები ფიქრობენ, რომ ნიჭიერი მოთამაშეები მათ საკმაოდ ჰყავთ, მაგრამ მუშაობა სათანადოდ არ წარმოებს, ამიტომ ამიერიდან ნაკრების საერთაშორისო შეხვედრათა რიცხვი იმატებს და მკაცრად დაისჯებიან ის კლუბები, რომლებიც მოთამაშეებს დროულად არ გაათავისუფლებენ.

ყოველწლიურად 15 მარტიდან 15 აპრილამდე მთელი დრო დაეთმობა ნაკრების მზადებას. ამ საწვრთნელი პერიოდის მთავარი მიზანი იქნება ნაკრების კანდიდატთა გამოვლენა. ამ ხნის განმავლობაში გუნდები ჩემპიონატისა და თასის თამაშებს არ ჩაატარებენ და ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს ეროვნულ ნაკრებს.

## ბეარა იუგოსლავიაში ბრუნდება

გამოჩენილი იუგოსლაველი ფეხბურთელი, ნაკრების ყოფილი მეკარე ბეარა უკანასკნელ წლებში გერმანიის სხვადასხვა კლუბში თამაშობდა. ახლა იგი კიოლნის „ვიქტორიის" კარს იცავს. მას ამ გუნდთან ხელშეკრულების ვადა გაუთავდა და აპირებს დაბრუნდეს იუგოსლავიაში და სპლიტის „ჰაიდუკში" ითამაშოს.

ბეარამ კიოლნში დაასრულა მწვრთნელთა უმაღლესი კურსები. თამაშის დამთავრების შემდეგ იგი იუგოსლავიის რომელიმე კლუბს ჩაუდგება სათავეში.

## დ. ლოუ და უ. ზეელერი — სნაიპერები

ახლა, როცა ევროპის ქვეყნების დიდ უმრავლესობაში დამთავრდა საფეხბურთო ჩემპიონატები, მიმომხილველები აჯამებენ სეზონის შედეგებს. ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელები ევროპაში აღმოჩნდნენ შოტლანდიელი დენის ლოუ, რომელიც ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობს და „ჰამბურგერ შპორტ-ფერაინის" მოთამაშე უვე ზეელერი. თვითეულ მათგანს ჩემპიონატის მატჩებში გატანილი აქვს 40-40 ბურთი.

ლოუ არა მარტო საუცხოო სნაიპერია, არამედ საუკეთესო ორგანიზატორიც, ხოლო რაც შეეხება ზეელერს, იგი ტიპიური ბომბარდირია.



ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი ჯ. სუსმენი ძალზე ტემპერამენტიანი სპორტსმენია. მას გულთან იმდენად ახლოს მიაქვს ყოველი შეცდომა და წარუმატებლობა, რომ ხშირად წონასწორობასაც კარგავს და ავადმყოფის მსგავსად კონვულსიები მოსდის.

მაგრამ სუსმენი ძლიერი ჩოგბურთელია და საბედნიეროდ მის ცხოვრებაში ასეთი წუთები იშვიათია. მაგალითად, 1962 წლის სეზონი მან ისე ჩაატარა, რომ ერთხელაც არ აშლია ნერვები. მაშინ იგი უიმბლდონის ჩემპიონი გახდა.

წელს კი სუსმენს ბედმა უმტყუნა. წყვილთა შეხვედრაში მან ბ. მოფიტთან ერთად მარცხი განიცადა ავსტრალიელებისგან, და აი, სუსმენმა თავის ნერვებს ფართო „ასპარეზი" მისცა.

აი, ასე ორიგინალურად განიცდის ამერიკელი ჩოგბურთელი ამ დამარცხებას.

ფოტო ჟურნალ „სპორტოვეციდან" (პოლონეთი).

## დაჰკარგა წონაც და... რწმენაც

საავტომობილო კატასტროფის შემდეგ ნიჭიერმა ავსტრალიელმა სპორტსმენმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა დონ ფრეზერმა ამას წინათ პირველად მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში. ნებისმიერი სტილით 100-მეტრიან დისტანციაზე მან აჩვენა 1.04,6. გაგახსენებთ, რომ მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის თვით ფრეზერს და უდრის 58,9 წამს.

საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ფრეზერზე ავსტრალიელი სპეციალისტების მიერ გამოთქმული პირველი სასიხარულო პროგნოზები პესიმიზმმა შეცვალა. ფრეზერის მწვრთნელმა გალახერმა განაცხადა, რომ მსოფლიო რეკორდსმენი ძალზე ცუდ ფორმაშია და მის მიერ ახლახან ნაჩვენები შედეგი შეიძლება მის ზღვარსაც წარმოადგენს. გალახერის აზრით, სპორტსმენის მაჩვენებლებზე იმოქმედა მის მიერ უკანასკნელ ხანებში დაკარგულმა წონამ — 4,5 კგ.

— მან დაჰკარგა არა მარტო წონა, არამედ რწმენაც, რომელიც მას მუდამ ხელს უწყობდა ეტარებინა მსოფლიოს უძლიერესი მოცურავის სახელი, — განაცხადა გალახერმა.

რაც შეეხება თვით სპორტსმენს, მან გადაწყვიტა არ წავიდეს იაპონიაში, თუ კი ოლიმპიადის დაწყებამდე ვერ შეძლებს თავის საყვარელ დისტანციაზე წინანდელი შედეგის ჩვენებას.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 08285